

საშემსრულებლო მიმართულებით სამაგისტრო წერითი ნაშრომის 5 - ქულიანი შეფასების სისტემა

კრიტერიუმი	ქულა					
	5 - საუკეთესო	4 - ძალიან კარგი	3 - კარგი	2-დამაკმაყოფილებელი	1 - საკმარისი	0 - არ ფლობს
ნაშრომის კომპოზიცია და სტილი	ავტორის მიერ გამოყენებული ტექსტის კომპოზიცია ხელს უწყობს თემის მიზნების და ამოცანების გახსნას, აადვილებს მათ აღწერას და კვლევის რეზულტატების გაგებას; სრულად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ტექსტის კომპოზიცია შეესაბამება თემის მიზნებს და ამოცანებს და კარგად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ტექსტის სტილი და კომპოზიცია შეესაბამება თემის ამოცანებს, დაცულია წერის აკადემიური სტილი და გრამატიკული ნორმები ხელს არ უშლის აზრის სწორად აღქმას	ტექსტის კომპოზიცია აკმაყოფილებს თემის ძირითად მოთხოვნებს, წერის აკადემიური სტილი ამოცანების არა ადეკვატურია	ტექსტის კომპოზიცია ხელს არ უწყობს თემის ამოცანების გახსნას, სტილი არაადეკვატურია, გრამატიკული შეცდომები ართულებს ტექსტის გაგებას	ტექსტის კომპოზიცია დასახული მიზნის შეუსაბამოა და დარღვეულია ენის სტილისტური ნორმები
თემის გახსნა	ნაშრომში თემა სრულად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში თემა კარგად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში თემა ძირითადად არის გახსნილი პასუხობს ამოცანას	ნაშრომში თემა ნაწილობრივ არის გახსნილი ამოცანების გადაწყვეტა არ არის დამაკმაყოფილებელი	ნაშრომში არ ჩანს თემის ირგვლივ წყაროების ცოდნა და ვერ პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში არ არის გახსნილი თემა და არ ჩანს ამოცანების გადაჭრის გზები
სისტემატიზაციის უნარები	ნაშრომში ჩანს სისტემური დისციპლინათმორისი მიდგომა და საშუალო ინფორმაციის სინთეზური გააზრების უნარი	ნაშრომში ჩანს წყაროების ფართო ბაზის ზუსტი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ნაშრომში ჩანს წყაროების ზოგადი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ჩაშრომი დამაკმაყოფილებლად ვლინდება საინფორმაციო საშუალებებში ორიენტაცია, წყაროების კლასიფიციცირების უნარი	სისტემატიზაციის უნარი უმნიშვნელოა თემის არაადეკვატური გაგების და/ან წყაროების მინიმალური ცოდნის ფონზე	არ აქვს სისტემატიზაციის უნარი, არ იცნობს წყაროებს
ანალიტიკური უნარები	თვალსაჩინოა სისტემური, ანალიტიკური მიდგომა, აზროვნების ლოგიკური თანმიმდევრულობა, სინთეზის უნარი	ჩანს აზრების ლოგიკური თანმიმდევრულობა, დამოუკიდებელი კრიტიკული მსჯელობა, ანალიზის უნარი კარგი სინთეზური აზროვნების ფონზე	ჩანს ალგორითმების კარგი გაგება და გამოყენება, მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრულობა	ჩანს მოცემული ალგორითმების არა ზუსტი თანმიმდევრობა, საკითხის ვიწრო გააზრება, არალოგიკური მსჯელობა	ჩანს ლოგიკური შეცდომები, თემის შეზღუდული და /ან არაადეკვატური ინტერპრეტაცია	არ ჩანს ლოგიკური მსჯელობა და ანალიტიკური უნარები

<p>კრეატიულობა და კომუნიკაცია</p>	<p>ნაშრომში ჩანს მაღალი სამეცნიერო კრეატიულობა, კომუნიკაციური მეთოდების დამოუკიდებელი ხედვა</p>	<p>ნაშრომში ჩანს კრიტიკულ უნარებში გამოხატული დამოუკიდებელი სამეცნიერო აზროვნება, ინდივიდუალური კომუნიკაციური სტილი</p>	<p>ნაშრომში ზოგადად ჩანს კრიტიკული სამეცნიერო აზროვნება, იკვეთება ცალკეული ელემენტების მიმართ კრეატიული კომუნიკაციის უნარი</p>	<p>ნაშრომში ნაწილობრივ ჩანს მეცნიერული კრეატიულობა, კომუნიკაცია არარეფლექსურია</p>	<p>ნაშრომში არ ჩანს სამეცნიერო და კომუნიკაციური კრეატიულობის გამოხატვის პრაქტიკული მოტივაცია</p>	<p>არ არსებობს კრეატიულობა და კომუნიკაციის უნარი</p>
<p>თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართება</p>	<p>მიზნის და ამოცანების დასახვის დროს ჩანს სიტუაციის პროგნოზირების, მათი გახსნის და გადაწყვეტის-კონტექსტუალური უნარი; მზადყოფნა თეორიის პრაქტიკული კორექტივების ასაღქმელად</p>	<p>მიზნისა და ამოცანების დასახვის დროს ჩანს ავტორის საღი აზრის თეორიული დასაბუთება, საკითხების მოქნილი გახსნა და გადაწყვეტა</p>	<p>მიზნების და ამოცანების დასახვა ცხადყოფს როგორც თეორიულ ინფორმირებულობას, აგრეთვე, საკითხისადმი რეალურ მიდგომას, თუმცა პრაქტიკული გადაწყვეტა ზედმეტად სწორხაზობრივია</p>	<p>ჩანს არარეალური მიზნების და ამოცანების დასახვა, არასწორი პრაქტიკული გადაწყვეტა</p>	<p>ჩანს საკითხის მიზნების და ამოცანების არასწორი დასმა, თეორიული და პრაქტიკული დეზორიენტაცია</p>	<p>სრული შეუსაბამობა თეორიასა და პრაქტიკას შორის</p>

